MES 8 20 0000936788

02/10/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 18.09.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 22:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი:ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული**-სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრიგეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
8. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;

9. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
10. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
11. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
12. **რომეო გალდავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
13. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი,	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ირმა ინაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2.	დავით მახვილაძე		რექტორის მრჩეველი	I
3.	თინათინ კაიშაური		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	I
4.	ქეთევან კოტეტიშვილი		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
5.	ალექსანდრე შარმაზანაშვილი		პროფესორი, მაგისტრატურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიები	I

			ბირთვულინჟინერიაში“ ხელმძღვანელი	
6.	სულხან სულხანიშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
7.	სოსო გოგილიძე		ხარისხის სამსახურის უფროსი	II
8.	არჩილ ჯანგირაშვილი		აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	II
9.	მარიამ სილაგავა		ხარისხის მენეჯერი	II
10	კონსტანტინე თოფურია		რექტორი	II
11	კახაბერ თავზარაშვილი		მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი.	II
12	**ირინე ზარნაძე**	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნიოვერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
13	**ლელა მასხულია**		ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი	III
14	**ირინე კვაჭაძე**		თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
15	ვახტან ლეჟავა	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	რექტორი	IV
16	ნათია სამუშია		პრორექტორი	IV
17	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	IV
18	თეო ურუშაძე		აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი	IV
19	ნატო კობახიძე		სადოქტორო სკოლის კოორდინატორი	IV
20	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	IV
21	მარიამ ჯაფარიძე		საერთშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	IV
22	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	IV
23	მარიამ გაბუნია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	IV
24	ნინო ჩიხლაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, სადოქტორო	V

			საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი,	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნანა დიხამინჯია	(ჩაერთო „ზუმით“)	I ,II
2	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ზურაბ ბოსიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ნანა მაჭარაშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით“)	II
7	სოფიკო შარაბიძე	(ჩაერთო ,,ზუმით)	II
8	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო ,,ზუმით“)	III
9	ელენე ხურციძე	(ჩაერთო ,,ზუმით“)	III
10.	ქეთევან კინწურაშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით“)	IV
11.	მარიამ ხომასურიძე	(ჩაერთო ,,ზუმით“)	IV
12.	ნინო პოპიაშვლი	(ჩაერთო ,,ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "რეაბილიტაციაში მრჩეველი" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრარული მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა აღნიშნული დღის წესრიგი

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი ინფორმატიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	კვალიფიკაციის კოდი	0613
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, მე-6 კორპუსი, თბილისი, 0175, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- ზურაბ გვიშიანმა და დიმიტრი გეგენავამ.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში“ არის ახალი პროგრამა, რომელიც შემუშავდა უნივერსიტეტის ბირთვული ინჟინერიის ცენტრის ბაზაზე. მოცემული ცენტრი თანამშრომლობს ცერნის ATLAS პროექტთან და უკვე რამდენიმე წელია, ამ თანამშრომლობის პროცესს ხელმძღვანელობს მოცემული პროგრამის ხელმძღვანელი. პროექტებში ჩართული არიან სტუდენტები. სამაგისტრო პროგრამის კურსები ძირითადად ამ პროექტისთვის ამზადებს კურსდამთავრებულს. აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 30 ივლისს. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ცენტრის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და აკადემიურ პერსონალთან. მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტი ჩატარდა სტანდარტებისა და წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად, უნივერსიტეტისგან მოთხოვნილ იქნა დამატებითი დოკუმენტები, რომელთა უმეტესობა მოწოდებულ იქნა იმ დღესვე.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. დაკორექტირდეს პროგრამის მიზნები სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად;
2. ჩატარდეს სრულყოფილი შრომის ბაზრის ანალიზი;
3. პროგრამის სწავლის შედეგები დაკორექტირდეს ისე, რომ შეესაბამებოდეს ინფორმატიკის მაგისტრის კვალიფიკაციას;
4. პროგრამის აღწერაში დაკორექტირდეს დასაქმების სფეროები;
5. მისაღები დარგობრივი გამოცდისთვის გაიწეროს გამოცდის საკითხების ტიპების და შეფასების კრიტერიუმები და ფიზიკის საკითხები დაემატოს საგამოცდო საკითხებში;
6. პროგრამის სტრუქტურა შეიცვალოს და დაემატოს კურსები ისე, რომ შეესაბამოდეს სწავლის შედეგებს;
7. დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა, რომ სწორად ასახავდეს კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებთან;

8. დაკორექტირდეს კურსის „პროგრამული პაკეტების დაპროგრამება ObjectARX-ის ბაზაზე“ საკითხები კურსის სწავლის შედეგების შესაბამისად;
9. შეიცვალოს კურსი „დაპროგრამებისა და კომპიუტინგის ტექნოლოგიები HEP ექსპერიმენტებში“ ისე, რომ თემები გაიწეროს გონივრულ ვადებში; დაკორექტირდეს კურსის სწავლის შედეგები საკითხების შესაბამისად; სავალდებულო ლიტერატურა ფარავდეს კურსის საკითხებს;
10. შეიცვალოს კურსი „ქსელური აპლიკაციების დაპროგრამება HEP-ში Java, PHP, Pythonის ბაზაზე“, რომ შეესაბამებოდეს სამაგისტრო საფეხურს და მითითებულ სწავლის შედეგებს;
11. დაემატოს კურსს „რიცხვითი მეთოდები და ოპტიმიზაცია“ მაღალი ენერგიების ფიზიკურ ექსპერიმენტებთან დაკავშირებული გამოთვლების მიმოხილვა;
12. სასწავლო კურსებში „ლაბორატორიულები“ შეიცვალოს „პრაქტიკულით“;
13. თუკი კურსები განხორციელდება შერეული მეთოდით, გაიწეროს სილაბუსებში ონლაინ მოდულის შესაბამისი სწავლების მეთოდები;
14. პროგრამას ჰყავდეს ადგილობრივი თანახელმძღვანელი;
15. პროგრამის ყველა აკადემიური პერსონალი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას;
16. გაიზარდოს კომპიუტერების კლასში კომპიუტერების რაოდენობა 12-მდე;
17. განხორციელდეს პროგრამის გარე შეფასება უცხოეთიდან მოწვეული დარგის სპეციალისტების მიერ;
18. შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები პროგრამის მონიტორინგისთვის;

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ:

პირველ და მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ შრომის ბაზრის ანალიზი უნივერსიტეტის მიერ უკვე ჩატარდა. აღნიშნული მიმართულება ახლოს არის როგორც ინფორმატიკასთან, ასევე ფიზიკასთან და ბირთვულ ინჟინერიასთან. მოცემული საკითხი საკმაოდ აქტუალურია. ინსტიტუცია თანამშრომლობს ბირვული ინჟინერიის ცერნთან, სადაც დაწესებულების წარმომადგენლები საკმაოდ აქტიურად არიან ჩართულნი და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება მას არ ეთანხმება, ვინაიდან, ინფორმატიკა არის მეცნიერება ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გადაცემის შესახებ. სასწავლო კურსი მთლიანად ეხება ინფორმაციის დამუშავების საკითხებს. კერძოდ კი საინჟინრო ანალიზს და ამისათვის კომპიუტერული გეომეტრიული მოდელირებისა და პროგრამული აპლიკაციების დამუშავებას. საგნის სათაურების ფიზიკური წარმომავლობა არ ნიშნავს მათ ფიზიკურ კონტენტს. ეს კონტენტი სრულად ინფორმატიკაა და არ ითვალისწინებს ფიზიკას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია ასევე არ იზიარებს მე-4 რეკომენდაციას, კერძოდ, დასაქმების სფეროები კონკრეტულად და ცალსახად არის გაწერილი. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ხარვეზი გამოწვეულია ექსპერტების მიერ პროგრამის ვიწრო აღქმით, რომ პროგრამის შექმნის მთავარი მიზანი სტუ-ს ცერნთან კოლაბორაციის განვითარებაა. „სწავლ ის შედეგები ძირითადად გათვლილია უნივერსიტეტის ბირთვული ინჟინერიის ცენტრის კოლაბორაციულ პროექტებზე ATLAS დეტექტორის განვითარების მიმართულებით“ და გვხვდება რეკომენდაციების სხვა ადგილებშიც. სინამდვილეში სტუ-ს ცერნთან წარმატებული კოლაბორაცია მრავალი წლის განმავლობაში, ამ პროგრამის გარეშეც აქვს. აქ საკითხი პირიქით დგას, რომ ცერნთან წარმატებული კოლაბორაციის შედეგები გამოყენებულ იქნას მაღალი პროფესიონალური დონის და კონკურენტუნარიანი IT სპეციალისტების მოსამზადებლად ქვეყნის შიგნით, ქართული კომპანიებისა და

დამსაქმებლებისათვის. ასევე გაუგებარია რატომ არის აქ და სხვა რეკომენდაციებშიც მინიშნება ATLAS-ის ექსპერიმენტზე. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება რომ პროგრამა შექმნილია სპეციალურად ATLAS-ის ექსპერიმენტისათვის და ითვალისწინებს მხოლოდ ATLAS-ის სპეციფიკებს. ეს მცდარი აღქმაა. სინამდვილეში პროგრამის შექმნისას გათვალისწინებულ იქნა როგორც ATLAS-ის ასევე სხვა კოლაბორაციებიც - CMC ექსპერიმენტი, ცერნის HLT – High Luminosity Team, ცერნის IT და CAD Support დეპარტამენტების გამოცდილება, ასევე იულიხის Forschungszentrum და კადარაჩის ITER Tokamak კოლაბორაციების გამოცდილებები.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, დაწესებულება მას მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება. მათთვის მიუღებელია ფიზიკის საკითხების შეტანა საგამოცდო საკითხებში - ვინაიდან სასწავლო კურსში ფიზიკა არ ისწავლება და კურსის წარმატებით გავლისთვის ფიზიკის ცოდნა არ არის აუცილებელი. ფიზიკის შეტანა საკითხებში დაავიწროებს მისაღებ ბაკალავრტთა არეალს და შეუქმნის მათ ხელოვნურ წინაღობებს. გარდა ამისა ვალდებული ვართ ავღნიშნოთ, რომ ფიზიკის საკითხების სწავლება არ არის სასწავლო კურსის მიზანი. ჩვენ არ ვართ ფიზიკოსები, ხოლო ფიზიკის სწავლება კი ფიზიკოსთა პრეროგატივაა.

დაწესებულება ექპერტთა მიერ განსაზღვრულ არც მე-6 რეკომენდაციას ეთანხმება, კერძოდ უნივერსიტეტისთვის გაუგებარია რას ეყრდნობა აღნიშნული მოსაზრება, მაშინ როცა სასწავლო კურსში 3 საგანი ეთმობა დაპროგრამებას, ხოლო 5 ავტომატიზებული გეომეტრიული მოდელირების ტექნოლოგიას. პროგრამის სტრუქტურა მთლიანად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და არ საჭიროებს დამატებითი საგნების შემოტანას. შემდეგ, რეკომენდაციებში მოცემულია, რომ „პროგრამის კურსები ძირითადად ეხება ATLAS პროექტისთვის საჭირო ნაკეთობების და მოწყობილობების კომპიუტერულ მოდელირებას და მათი მონაცემების ანალიზს, შესაბამისად, მხოლოდ ირიბი კავშირი აქვს ბირთვულ ინჟინერიასთან“. კომპიუტერული მოდელირება გამოიყენება ფიზიკურ ექსპერიმენტებში ისეთი საინჟინრო ამოცანების გადასაწყვეტად როგორიც არის - დეტექტორის წარმოება, მათი ინსტალაცია, საინჟინრო მომსახურება, მოვლენების სიმულაცია, კომპონენტებისა და პროცესების საინჟინრო ვიზუალიზაცია. ეს არის ერთერთი ძირითადი საკითხები ბირთვულ ინჟინერიაში. აქედან გამომდინარეობს სწორად ვერ დანახული კავშირები სწავლის შედეგებზეც.

მნიშვნელოვანია ასევე მე-8 რეკომენდაციას, კერძოდ დაწესებულება არც მას ეთანხმება, რადგან ObjectARX დაპროგრამების ტექნოლოგია სამომხმარებლო პროგრამული მოდულების, აპლიკაციებში ჩაშენების საშუალებას იძლევა, ამ უკანასკნელის რეკომპილაციის გარეშე. ამდენად, ObjectARX გამოიყენება სამომხმარებლო ამოცანებთან აპლიკაციების მორგებისათვის და სხვადასხვა არქიტექტურის სისტემების გენერაციისათვის. შედეგად, სასწავლო კურსის კავშირები სწავლის შედეგებზე კორექტულია.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-9 რეკომენდაციას. გაუგებარია რას ნიშნავს თემების „გონივრულ“ ვადებში გაწერა. რა თქმა უნდა სილაბუსში მოყვანილი თემები ძალიან ვრცელი და ტევადია. მაგრამ მიზანი ამ თემებში კომპიუტინგის და ინფორმატიკის წარმოჩენაა და არა ამ თემების სრული სიგრძე სიგანით ათვისება. ამიტომ თითოეული თემის უკან დგას ამ თემასთან ასოცირებული ინფორმატიკის ულუფა, რომელიც კარგად არის სეგმენტირებული და დოზირებული. შედეგად, ისინი სრულად დაძლევადია მოცემულ ვადებში.

საყურადღებოა ასევე მე-10 რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმება. აღნიშნული საგნის „დამძიმება“ შესაძლებელია ისეთი საკითხებით როგორიცაა AngulaJS, TypeJS, გრაფიკული ძრავების დაპროგრამება Web-ში და სხვ. მაგრამ ამის მიმართ დაწესებულება სკეპტიკურად არის განწყობილი გამოცდილებიდან გამომდინარე. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მომზადებული ბაკალავრები ვერ ფლობენ ისეთ დონეს რომ აღნიშნული თემები მათთვის დაძლევადი აღმოჩნდეს. შეიძლება რომელიმე უნივერსიტეტი ამას უზრუნველყოფს, ინსტიტუციის აზრით ეს არ შეიძლება სისტემურ რანგში იქნას განხილული. ამ საკითხში ფორმალური მიდგომა საფრთხის შემცველია, ვინაიდან შეიძლება დადგეს ის რეალობა, რომ არცერთი ბაკალავრი არ იქნება კურსის გასავლელად მზად.

დაწესებულების გადაწყვეტილების შესაბამისად, საბაკალავრო დონეზე სავალდებულოა HTML/CSS-ის მყარ ცოდნას, ხოლო JS/PHP/PYTHON-ს ისწავლება მაგისტრატურის საფეხურზე.
რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, დაწესებულება მას არ იზიარებს, რადგან ფიზიკის საკითხების შემოტანა დაავიწროებს სასწავლო პროგრამის არეალს და შექმნის დამატებით ხელოვნურ წინაღობებს, ვინაიდან ფიზიკის შესწავლა არ წარმოადგენს სასწავლო პროგრამის მიზანს.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-14 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელის ყოლის აუცილებლობა არ არის ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელი აპირებს დაბრუნებას და საქართველოში მოღვაწეობის გაგრძელებას.
მე-15 რეკომენდაციასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ყველა აკადემიური პერსონალი ფლობს ინგლისურ ენას.
რაც შეეხება მატერიალურ რესურს, დაწესებულება მის დანაკლისს ნამდვილად არ განიცდის. უნივერსიტეტში კომპიუტერული რესურსიც საკმაოდ დიდია. ვიზიტის დროს ექსპერტებმა იხილეს დიღმის ბაზა, სადაც მთელი რესურსი არ იყო მოცემული. პროგრამას ასევე გააჩნია ფინანსური უზრუნველყოფა. მივლინებები ნაწილობრივ ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ, ხოლო ნაწილობრივ ბირთვული ინჟინერიის ცენტრისა და იულიხის კვლევის ცენტრის მიერ.
პროგრამის ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მაქსიმალურად გაითვალისწინებს გარე შეფასების შესახებ არსებულ რეკომენდაციას.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა იულიხის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრთან დაკავშირებით განმარტა, რომ ის არის ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის შემსწავლელი ორგანიზაცია, რომელიც ფუნდამენტურ მეცნიერებების ემსახურება, შესაბამისად ბირთვული ინჟინერია სრულიად უადგილოა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება არ შეესაბამება მის შინაარსს და სახეზეა გარვეული ხარვეზები საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებაზე და აღნიშნა, რომ ბრძანების მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ერთი სააკრედიტაციო განაცხადით წარმოადგინოს ისეთი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც სწავლის შედეგების მიხედვით გადის ერთი და იმავე დეტალური სფეროს ერთზე მეტ, მაგრამ არაუმეტეს სამ კვალიფიკაციაზე, გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებისა. დებულებაში ცვლილებები შევიდა 2020 წლის 11 სექტემბერს, ხოლო პროგრამა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილია ახალი დებულების ძალაში შესვლამდე. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ დეტალურ სფეროში - 0613 შედის ინფორმატიკა, კომპიუტერული მეცნიერება და ინფორმაციული სისტემები, რომელსაც პროგრამა მთლიანად მოიცავს.
ექსპერტთა ჯგუფს წევრმა განაცხადა, რომ პროგრამა არ მოიცავს დეტალური სფეროს ყველა განხრას. ვებ-ტექნოლოგიები წარმოდგენილია საწყის ეტაპზე, ხოლო სისტემები არა კონკრეტულად, არამედ ზოგადად არის განხილული.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.
საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც ეხება პროგრამის არა მარტო ფორმალურ, არამედ შინაარსობრივ ნაწილსაც. აღსანიშნავია, რომ დასკვნის მიხედვით, პროგრამა თავისი შინაარსით დასახულ შედეგებს ვერ მიაღწევს, რადგან აღნიშნული ეწინააღმდეგება მის მიზნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს კონკრეტული რეკომენდაციებთან დაკავშირებით წარმოედგინათ თავიანთი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბირთვული ინჟინერიის ცენტრი, რომელიც 2004 წლიდან თანამშრომლობს

იულიხის სამეცნიერო-კვლევით ცერნთან. ცენტრი მსოფლიოში ყველზე მძლავრი, სამეცნიერო ორგანიზაციაა, რომელშიც გაერთიანებულია 42 ქვეყანა და 600-ზე მეტი მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტი. შესაბამისად, ცერნთან კოლაბორაცია გულისხმობს ამ უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებას, იმ სტანდარტებით, რაც უცხოურ უნივერსიტეტებშია მიღებული. თექვსმეტწლიანი პარტნიორობის განმავლობაში დაწესებულება თანამშრომლობდა ოქსფორდის და სტენფორდის უნივერსიტეტებთან, ბერკლის ლაბორატორიასთან, პიცბურგის, ჟენევას და პარიზის უნივერსიტეტებთან. ბუნებრივია მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა აუცილებელი კადრების მოძიება. ორ წელიწადში ერთხელ პროგრამის ხელმძღვანელი ატარებდა სასწავლო კურსებს, რის შედეგადაც, წარჩინებულ და მოტივირებულ სტუდენტებს ეძლეოდათ ცერნთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. შესაბამისად, ცენტრი თან და თან გადაიქცა საუნივერსიტეტო ერთეულად. ბოლო 10 წლის განმავლობაში დაწესებულების ფარგლებში შესრულდა 7 სამაგისტრო და 3 სადოქტორო დისერტაცია, გამოქვეყნდა 10-მდე სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში და მოხდა პერსონალის აქტიურად ჩართავ ცერნის 170-მდე შეხვედრასა და ვორქშოფში. 2017 წლიდან დაწესებულება აორგანიზებს ცერნის მასტერკლასებს სკოლის მოსწავლეებისა და პირველი, მე-2 კურსის სტუდენტებისათვის. განხორციელებული აქტივობების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სფეროსადმი საკმაოდ დიდი დაინტერესებაა, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების მხრიდან.

მოცემული სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს, პროფესიონალი კადრების მომზადებას, შესაბამისა, მის მიმართ მოლოდინების დიდია. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან არასწორად იქნა გაგებული პროგრამის მიზნები. ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია, რომ პროგრამა დამუშავდა ცერნთან კოლაბორაციული პროექტისათვის, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. ცერნთან თანამშრომლობისთვის, აღნიშნული პროგრამა საჭირო არ არის. მნიშვნელოვანია, რომ ცერნთან თანამშრომლობის შედეგების იმპლემენტაცია მოხდეს შიდა ბაზარზე, ქართველი სტუდენტებისათვის.

აღსანიშნავია ასევე, რომ დაწესებულების მიზანს არ წარმოადგენდა სტანდარტული ინფორმატიკის კურსის შექნა, არამედ მნიშვნელოვანი იყო ფიზიკის ამოცანებიდან გამომდინარე, ინფორმატიკის კურსის შექმნა. ფიზიკის სწავლებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ კავშირს ინოვაციებთან. თანამედროვე ბირთვული ფიზიკა დიდი გამოცდილების წინაშე დგას და მოითხოვს ინფორმატიკის დარგში ულტრა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მათ ცოდნას. აქედან გამომდინარე კურსი არის არასტანდარტული და საკმაოდ ორიგინალური.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ,,კიბერუსაფრთხოება'', რომელიც პროგრამაში სასწავლო კურსის სახით არის მოცემული არ ეხება არც ერთ დეტალურ სფეროს. ამასთან, ექსპერტმა მათი აზრით პროგრამა შემუშავდა არა ცერნისთვის, როგორც ეს ხელმძღვანელმა აღნიშნა, არამედ ცერნთან თანამშრომლობის საფუძველზე. ინფორმატიკა, ეს არის კომპიუტერული მოდელირება, შესაბამისად პროგრამული საგნები მოცემული უნდა იყოს არა არჩევითი, არამედ სავალდებულო სასწავლო კურსების სახით. რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სამიდან მხოლოდ ერთია დაინტერესებული პროგრამის შინაარსით, ხოლო დანარჩენებისთვის მნიშვნელოვანია ბირთვული ინჟინერიის საკითხები, რომლებსაც უნივერსიტეტი სტუდენტებს არ სთავაზობს.

რაც შეეხება ფიზიკას, მნიშვნელოვანია მისი მისაღები გამოცდის საკითხებში დამატება, რადგან სტუდენტს შეეძლოს შემდგომ მეტად რთული მასალის ათვისება. გარდა ამისა საყურადღებოა, რომ პროგრამის სახელწოდება შეუსაბამოა მის შინაარსთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:45
დასრულების დრო: 18:

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და რეკომენდაციები.

გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) დაკორექტირდეს პროგრამის მიზნები სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად;
ბ) ჩატარდეს სრულყოფილი შრომის ბაზრის ანალიზი;
გ) პროგრამის სწავლის შედეგები დაკორექტირდეს ისე, რომ შეესაბამებოდეს ინფორმატიკის მაგისტრის კვალიფიკაციას;
დ) პროგრამის აღწერაში დაკორექტირდეს დასაქმების სფეროები;
ე) მისაღები დარგობრივი გამოცდისთვის გაიწეროს გამოცდის საკითხების ტიპების და შეფასების კრიტერიუმები და ფიზიკის საკითხები დაემატოს საგამოცდო საკითხებში;
ვ) პროგრამის სტრუქტურა შეიცვალოს და დაემატოს კურსები ისე, რომ შეესაბამოდეს სწავლის შედეგებს;
ზ) დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა, რომ სწორად ასახავდეს კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებთან;
თ) დაკორექტირდეს კურსის „პროგრამული პაკეტების დაპროგრამება ObjectARX-ის ბაზაზე“ საკითხები კურსის სწავლის შედეგების შესაბამისად;
ი) შეიცვალოს კურსი „დაპროგრამებისა და კომპიუტინგის ტექნოლოგიები HEP ექსპერიმენტებში“ ისე, რომ თემები გაიწეროს გონივრულ ვადებში; დაკორექტირდეს კურსის სწავლის შედეგები საკითხების შესაბამისად; სავალდებულო ლიტერატურა ფარავდეს კურსის საკითხებს;
კ) შეიცვალოს კურსი „ქსელური აპლიკაციების დაპროგრამება HEP-ში Java, PHP, Pythonის ბაზაზე“, რომ შეესაბამებოდეს სამაგისტრო საფეხურს და მითითებულ სწავლის შედეგებს;
ლ) დაემატოს კურსს „რიცხვითი მეთოდები და ოპტიმიზაცია“ მაღალი ენერგიების ფიზიკურ ექსპერიმენტებთან დაკავშირებული გამოთვლების მიმოხილვა;
მ) სასწავლო კურსებში „ლაბორატორიულები“ შეიცვალოს „პრაქტიკულით“;
ნ) თუკი კურსები განხორციელდება შერეული მეთოდით, გაიწეროს სილაბუსებში ონლაინ მოდულის შესაბამისი სწავლების მეთოდები;
ო) პროგრამას ჰყავდეს ადგილობრივი თანახელმძღვანელი;
პ) პროგრამის ყველა აკადემიური პერსონალი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას;
ჟ) გაიზარდოს კომპიუტერების კლასში კომპიუტერების რაოდენობა 12-მდე;
რ) განხორციელდეს პროგრამის გარე შეფასება უცხოეთიდან მოწვეული დარგის სპეციალისტების მიერ;
ს) შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები პროგრამის მონიტორინგისთვის;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის , მე-3 და 3^2 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბირთვულ ინჟინერიაში" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბჭოს სხდომას შეუერთდა საბჭოს წევრი ნიკოლოზ კიკნაძე.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N178, 10/09/2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები – არაკლასიფიცირებული
12	კვალიფიკაციის კოდი	0619
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას, ქ. N77ა. 0171. თბილისი, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამამ „ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში“ ერთწლიანი პირობითი აკრედიტაცია მიიღო 2019 წელს. პროგრამის მიზანია, მოამზადოს ინფორმაციული ტექნოლოგიების საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად მართვის, პროგრამული უზრუნველყოფის დაგეგმვის, შემუშავების და დანერგვის მიმართულებით. აკრედიტაციის ვიზიტი საქართველოს უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 17 ივლისს. ვიზიტი ჩატარდა სტანდარტების შესაბამისად: ჩატარდა ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აფილირებულ და მოწვეულ პროფესორებთან, სტუდენტებთან, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის დროს ექსპერტებმა მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია: სწავლის შედეგების რუკა, სამი სილაბუსი, რომელიც წინასწარ მოწოდებულ დოკუმენტაციაში იყო ცარიელი, სტუდენტთა კითხვარების ანალიზი და მისაღები გამოცდის საკითხების სავარაუდო ჩამონათვალი. ყველა დოკუმენტაცია იქნა მოწოდებული იმ დღესვე.
პროგრამა სრულად შეესაბამება პირველ სტანდარტს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ჩამოყალიბებულია ცხადად და მიღწევადია პროგრამის სტრუქტურის და შეფასების მეთოდების იმ ცვლილებებით, რომლებიც მეორე სტანდარტშია რეკომენდირებული. პროგრამა მეტწილად შეესაბამება მეორე სტანდარტს. სპეციალობის გასაუბრების შეფასება არ არის ცხადად განსაზღვრული, არჩევითი საგნების დიდი რაოდენობის შეთავაზება დაჯგუფების გარეშე ვერ უზრუნველყოფს თანაბარ შედეგებზე გასვლას, პროგრამის სავალდებულო საგნები ვერ უზრუნველყოფს ყველა მითითებულ სწავლის შედეგზე გასვლას, არ არის განსაზღვრული ყველა მითითებული სწავლების მეთოდის შესაბამისი სამუშაო ან დავალება სილაბუსში, შეფასების მეთოდები ხშირად უნიფიცირებულია და არ ასახავს საგნის სპეციფიკას. პროგრამა სრულად შეესაბამება მესამე სტანდარტს. სტუდენტებს აქვთ განვითარების მრავალფეროვანი შესაძლებლობები და სამაგისტრო ნაშრომებს ხელმძღვანელობს კვალიფიციური პერსონალი. პროგრამა მეტწილად შეესაბამება მეოთხე სტანდარტს. დაწესებულებას ძირითადად აქვს საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსი პროგრამის განხორციელებისთვის. თუმცა საჭიროა დარგის

მიმართულებით კვლევების გაძლიერება, განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან. ასევე საჭიროა პროგრამის ბიუჯეტის დეტალური გაწერა. პროგრამა მეტწილად შეესაბამება მეხუთე სტანდარტს. ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად მექანიზმები გაწერილია და ძირითადად სრულდება, თუმცა პრაქტიკულად სუსტად ჩანს პროგრამის ხარისხის შეფასება და არ არსებობს სამიზნე ნიშნულები პროგრამის სრულფასოვანი მონიტორინგისთვის.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. პროგრამაზე მიღებისას სპეციალობის გამოცდა-გასაუბრება შეფასდეს ქულებით და გამოცდის შედეგები გამოქვეყნდეს;
2. განისაზღვროს სპეციალობის გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა და დადებითი შეფასების ზღვარი;
3. დაჯგუფდეს არჩევითი საგნები მიმართულებების მიხედვით;
4. კურსები, რომლებიც მნიშვნელოვანია მითითებული სწავლის შედეგებისთვის, გახდეს სავალდებულო-არჩევითი: ერთ-ერთი დაპროგრამების ენა, მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებული კურსები და DevOps;
5. DevOps-ის სილაბუსი შეიცვალოს DevOps თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
6 სისტემური დაპროგრამების სილაბუსი შეიცვალოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და განახლდეს ლიტერატურა;
7 გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო კვლევების რაოდენობა;
8. გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა კვლევები საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით;
9. დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ისეთი მექანიზმები, რომლებიც ახალ პროგრამაში უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომებში კვლევითი კომპონენტის სათანადო სტანდარტს.
10. გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების მექანიზმები კვლევითი კომპონენტის სათანადო სტანდარტის მისაღწევად;
11. გაძლიერდეს შიდა და გარე ხარისხის შეფასების პრაქტიკული განხორციელება და შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები პროგრამის მონიტორინგისთვის;
12. პროგრამის სწავლის შედეგები მოვიდეს კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში ერთნაირი კომპეტენციების სფეროების მიხედვით.
13. პროგრამის ბიუჯეტი გაიწეროს დეტალურად და გათვალისწინებული იყოს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ხარჯები

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ:

პირველ და მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაზე მიღებისას სპეციალობაში გამოცდა-გასაუბრების ჩასატარებლად იქმნება შესაბამისი კომისია, რომელშიც შედის, პრგორამის ხემძღვანელი, სკოლის დირექტორი, სკოლაში არსებული პროფესორებით და მოწვეული ლექტორებით. გასაუბრების შედეგად, სტუდენტს ეძლევა კითხვები, რომელიც უნივერსიტეტის ვებ-საიტზე იდება გასაუბრებამდე მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე. ადგილზე გასაუბრებისა და შემოწმების გზით, მოქმედებს ჩათვლა - არ ჩათვლის პრინციპი. გასაუბრების პროცესში, სტუდენტს ეძლევა უკუკავშირი, რაც საბოლოოდ ოქმში აისახება. აქამდე, აღნიშნულ პრაქტიკას არ ჰქონდა პრობლემა, არც პრეტენზია დაფიქსირებულა კანდიდატების მხრიდან შეფასების ფორმაზე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანონდებლობა არ განსაზღვრავს რაიმე კონკრეტულ შეფასების ფორმას, მაგრამ სკოლა მზადაა

აღნიშნულ საკითხის შესასწავლად და რეკომენდაციის გასათვალისწინებლად. რაც შეეხება ინფორმაციას შედეგების განთავსების თაობაზე. შედეგების განთავსება ხდება ვებ-გვერდზე. იმისათვის, რომ დაცული იყოს პირთა პერსონალური მონაცემები, ამიტომ ხდება სპეციალური ნომრებით შედეგების გასაჯაროება.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, დაწესებულება მას ითვალისწინებს იმ ფორმით, რომ პროგრამის ორგანიზების თავისებურებაში, საგნები დაჯგუფდება მიმართულებების მიხედვით, რომელიც იქნება ერთგვარი გზამკვლევი სტუდენტებისთვის. დაწესებულება ასევე ითვალისწინებს მე-4, მე-5 და მე-6 რეკომენდაციას, შესაბამისად, მოხდება DevOps-ის სილაბუსის და სისტემური დაპროგრამების სილაბუსის განახლება.

სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან მიმართებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტების მხრიდან შესაბამისი რაოდენობის კრედიტების დაგროვების შემდეგ ხდება რეგისტრაცია სამაგისტრო ნაშრომზე. რეგისტრაციამდე, დეპარტამენტის მხრიდან ხდება სამაგისტრო ნაშრომის თემატიკების განთავსება და კონკრეტულ თემატიკებზე პოტენციური თემის ხელმძღვანელების განსაზღვრა. სტუდენტი ირჩევს თემატიკას და პოტენციური თემის ხელმძღვანელთან კონსულტაციის შედეგად ხდება სამაგისტრო ნაშრომის სათაურის ჩამოყალიბება და განსაზღვრა. სტუდენტი თავისუფალია თემატიკის არჩების პროცესში, მაგრამ სათაურის ჩამოყალიბების პროცესში, ის იღებს კონსულტაციებს შესაბამისი პირებისგან. თემის სათაურის დამტკიცების შემდეგ, სტუდენტს ენიშნება თემის ხელმძღვანელი, რომელთან ერთადაც მუშაობს ნაშრომის კონცეფციაზე, სადაც ხდება თემის აქტუალობის და მოსალოდნელი შედეგების ჩვენება თემის ხელმძღვანელთან მუშაობის პროცესში. ასევე, თემის ხელმძღვანელი და სტუდენტი განსაზღვრავენ კვლევის კომპონენტებს და სტრატეგიასაც და საბოლოოდ შედეგების მიღების შემდეგ, იმ სიახლის გამოკვეთას, რომელიც კვლევის შესაბამისად მიიღეს. უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ თემა არ არის მხოლოდ სტუდენტის პროდუქტი. ის თემის ხელმძღვანელთან ერთად მუშაობს და იკვლევს კონკრეტულ საკითხებს, შესაბამისად მთელ ამ პროცესში, უნივერსიტეტი აძლევს შესაძლებლობას როგორც სტუდენტს, ასევე თემის ხელმძღვანელს თავად, ერათობლივი კონსულტაციების შედეგად განსაზღვრონ ნაშრომის შინაარსისთვის ყველა აუცილებელ ფაქტორებს. უნივერსიტეტის დებულების მიხედვით, პროცესი რეგულირებულია. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის მე-3 ბრძანების შესაბამისად ერთჯერადი შეფასების ფაქტორი არის განსაზღვრული და საბოლოო დაცვაზე იწერება შეფასება, უნივერსიტეტს არაშეფასებადი შუალედური შემოწმების გზები აქვს განსაზღვრული. ყველა თემაზე იქმნება კომისია, რომლის მიხედვითაც ხდება კონცეფციის და წინასწარი განაცხადის შემოწმება, რის შემდეგაც გასცემენ რეკომენდაციებს და საბოლოო ეტაპია დაცვა, სადაც ხდება სტუდენტის ნაშრომის ქულობრივი შეფასება.

მნიშვნელოვანია ასევე მე-11 რეკომენდაცია, რომელიც ეხება ხარისხის შეფასების საკითხს, კერძოდ, უნივერსიტეტს გააჩნია ხარისხის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ყველა ეტაპი და პროცესი შიდა ხარისხის მიმართულებით. იქნება ახალი პროგრამა თუ არსებული პროგრამა, ორივე შემთხვევაში განსაზღვრულია, როდის, რა პერიოდში და ვის მიერ ხდება პროგრამის შეფასება. უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამის შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმები. პირდაპირ შეფასებაში იგულისხმება სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის შემოწმებას, რათა მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაზომვა. მიღებული შედეგების საშუალებით, პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების დახვეწა/მოდიფიცირება. ამისათვის, დებულებაში ჩამოთვლილია ყველა ის ფორმა, რომლიდანაც ხდება ინფორმაციის მიღება. რაც შეეხება არაპირდაპირ შეფასებას, მასში იგულისხმება, სტუდენტის და დაინტრერესებული პირების დამოკიდებულება სასწავლო პროცესების და პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. პროგრამის შეფასების არაპირდაპირი მეთოდი მოსწავლეებს და დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს პროგრამის ეფექტურობა თავიანთი გამოცდილებიდან და პერსპექტივიდან გამომდინარე. დებულებაში ჩამოთვლილია

შესაბამისად ყველა ფორმა, რომელზეც არსებობს შესაბამისი კითხვარები სწორი და საკმარისი ინფორმაციის მოსაგროვებლად. მიღებული ინფორმაციის ანალიზს ახდენს შესაბამისი საბჭო და ამის საფუძველზე განისაზღვრება საჭიროება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე. ექსპერტების დასკვნის პროექტში არ ხდება საკითხის კონკრეტიზაცია თუ რაშია კონკრეტული პრობლემა. ზოგადი ჩანაწერის მიხედვით, ვკითხულობთ, რომ კითხვარების ანალიზი მწირია. მხოლოდ ამის აღნიშვნა, კონკრეტული დასაბუთების გარეშე არ იძლევა ინფორმაციას თუ რაში მდგომარეობს სიმწირე, რა აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გამოსასწორებელი. ექსპერტები მიუთითებენ, რომ უნდა გაძლიერდეს ხარისხის შეფასება, იქნება ეს შიდა თუ გარე ხარისხი, მაგრამ არ ხდება კონკრეტულად იმის მითითენა თუ რაშია ხარვეზი, რომელ კომპონენტსა თუ კომპონენტებში.
რაც შეეხება მე-12 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის აკრედიტაციაზე განაცხადის გაკეთების დროს, გამოგზავნილი სილაბუსები და პროგრამები იყო 6 კომპონენტად გაწერილი. ვიზიტის შესახებ ოქმის გამოგზავნის დროს, ერთჯერადი შესწორების შესაძლებლობის გამოყენების შედეგად, სილაბუსები და პროგრამა განახლებული ფორმით იქნა წარმოდგენილი, რომელიც 6-ის ნაცვლად 3 კომპონენტად გადაკეთდა. ვიზიტის პერიოდში, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სილაბუსები იყო 3 კომპონენტად გაწერილი, ხოლო პროგრამა არა. დაწესებულების მხრიდან, საკითხთან მიმართებით სახეზეა ტექნიკური ხარვეზი, რის შედეგადაც, გამოგზავნილი იყო 3 კომპონენტიანი სილაბუსები, მაგრამ პროგრამა არა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:23
დასრულების დრო: 18: 40

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, პირველი სტანდარტი განისაზღვრა როგორს მეტწილად შესაბამისი, ხოლო მე-4 და მე-5 სტანდარტები, როგორც სრულიად შესაბამისი.

საბჭოს წევრებმა ნაწილობრივ გაიზიარეს ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და განსაზღვრეს შემდეგი:
ა) პროგრამაზე მიღებისას სპეციალობის გამოცდა-გასაუბრება შეფასდეს ქულებით და გამოცდის შედეგები გამოქვეყნდეს;
ბ) განისაზღვროს სპეციალობის გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა და დადებითი შეფასების ზღვარი;
გ) დაჯგუფდეს არჩევითი საგნები მიმართულებების მიხედვით;
დ) კურსები, რომლებიც მნიშვნელოვანია მითითებული სწავლის შედეგებისთვის, გახდეს სავალდებულო-არჩევითი: ერთ-ერთი დაპროგრამების ენა, მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებული კურსები და DevOps;
ე) DevOps-ის სილაბუსი შეიცვალოს DevOps თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
ვ) სისტემური დაპროგრამების სილაბუსი შეიცვალოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და განახლდეს ლიტერატურა;
ზ) გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო კვლევების რაოდენობა;
თ) გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა კვლევები საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით;

ი) დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ისეთი მექანიზმები, რომლებიც ახალ პროგრამაში უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომებში კვლევითი კომპონენტის სათანადო სტანდარტს.

კ) გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების მექანიზმები კვლევითი კომპონენტის სათანადო სტანდარტის მისაღწევად;

ლ) გაძლიერდეს შიდა და გარე ხარისხის შეფასების პრაქტიკული განხორციელება და შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები პროგრამის მონიტორინგისთვის;

მ) პროგრამის სწავლის შედეგები მოვიდეს კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში ერთნაირი კომპეტენციების სფეროების მიხედვით.

ნ) პროგრამის ბიუჯეტი გაიწეროს დეტალურად და გათვალისწინებული იყოს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ხარჯები

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3. მესამე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "რეაბილიტაციაში მრჩეველი" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რეაბილიტაციაში მრჩეველი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21.10.2011, N132
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	თერაპია და რეაბილიტაცია 0915
12	კვალიფიკაციის კოდი	0915
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	ვაჟა-ფშაველას 33, თბილისი 0186, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს- ზურაბ ორჯონიკიძემ და გაიანე სიმონიამ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „რეაბილიტაციაში მრჩეველი“ - ს ს ი პ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (შემდგომში-„უნივერსიტეტი“) ხორციელდება 2010 წლიდან. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს, აკრედიტაციის ვადა განსაზღვრულია 2020 წლის 1 ივლისამდე. სამაგისტრო პროგრამა შეიქმნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ინიციატივით და უცხოელი კოლეგების (ერაზმუსის უნივერსიტეტი) დახმარებით. ასევე, პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში მონაწილეობას იღებდნენ თსსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები, პოტენციური დამსაქმებლები. 2011 წლიდან პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები: სტრუქტურაში სამაგისტრო ნაშრომისათვის 26 კრედიტის ნაცვლად დადგენილი იქნა 30 კრედიტი; გაიზარდა პრაქტიკისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა და შეადგინა 10 კრედიტი. ცვლილება შევიდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესში, რომელიც ასახული იქნა თსსუ დებულებაში მაგისტრატურის შესახებ. განვითარებული და დანერგილი იქნა სასწავლო კურსების სწავლების დროს მტკიცებითი მედიცინისა და შემთხვევის შესწავლაზე დაფუძნებული მეთოდოლოგია. ყველა სასწავლო კურსის სტრუქტურაში შევიდა ცვლილება, ლექცია-სემინარის ფორმატს დაემატა მოდელირებული სიტუაციის ანალიზი და პრეზენტაცია, ასევე როლური თამაშები.

შეიცვალა სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტების რაოდენობა და ქულათა სტრუქტურა. გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსებისა და მათთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა. დაინერგა სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციისა და შეფასების სისტემა.
სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 23 ივლისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით განახორციელა ვიზიტი თბილისში სსიპ - თბილისის 4 სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში „რეაბილიტაციაში მრჩეველის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ვიზიტი მიმდინარეობდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს, პროგრამის ხელმძღვანელს, გაიმართა შეხვედრები სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, მოხდა სამაგისტრო ნაშრომების განხილვა, ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დღის ბოლოს დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები, სამაგისტრო პროგრამის დანერგვის პოლიტიკა ასახულია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1.პროგრამის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია მასში ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში, როგორც მაღალი ტემპით განვითარებად დარგში, ახლად წარმოქმნილი პროფესიული საჭიროებებისა და საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება და ასახვა, რასაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის დამატებითი კვლევა და მიღებული ახალი მონაცემების ანალიზი;
2. სასურველია განისაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ქართული ენის კომპეტენციის დონე, აუცილებელი სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის;
3. პრაქტიკის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულებებში კლინიკურ გარემოში პრაქტიკის განხორციელების შესახებ, რაც რეალურად დაადასტურა ინტერვიუებმა, პრაქტიკის კომპონენტის კიდევ დამატებით გაძლიერების მიზნით, გაძლიერდეს მაგისტრებთან უკუკავშირი;
4. საქართველოში პრაქტიკის ბაზებზე მაგისტრებისათვის გამოცდილების მიღების მაქსიმალური ხელშეწყობა;
5. დისტანციური სწავლების კომპონენტის გათვალისწინება და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა;
6. სასურველია სტუდენტის შუალედური შეფასების დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გაზრდა სწავლის შედეგებისა და ხარისხის მისაღწევად;
7. სასურველი იქნებოდა მაგისტრებისათვის პოტენციურ დამსაქმებლებთან ხშირი შეხვედრების ორგანიზება დამსაქმებელთა მოთხოვნების გასაცნობად, აღნიშნული ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან მომზადებას კონკურენტუნარიანი გარემოსათვის;
8. სასურველია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დარგში გამოცდილების მქონე შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების დამატებით მოწვევა, აღნიშნული ხელს შეუწყობს მაგისტრებისათვის ხელმძღვანელების ფართო არჩევანის შესაძლებლობას;
9. სასურველი იქნება მომავალში შრომის ბაზრის მოთხოვნების დამატებითი კვლევა და მიღებული მონაცემების ანალიზი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონკრეტული და აუცილებელი აქცენტების გაკეთებისთვის. განაცხადა, რომ სრულიად იზიარებენ ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. ასევე განმარტა, რომ დაწესებულებამ უკვე დაიწყო არსებულ რეკომენდაციებზე მუშაობა და აუცილებელი ცვლილებების განხორციელება. იქიდან გამომდინარე, რომ დარგის შედარებით ახალია, საკმაოდ რთულია შრომის ბაზარზე ადგილის დამკვიდრება. თუმცა დაწესებულება აუცილებლად განახორციელებს ბაზრის ღრმა და სრულფასოვან კვლევას. უნივერსიტეტის ასევე აქტიურად განიხილავს დამატებითი სპეციალისტების მოწვევის საკითხს. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსების მხრივ, დაწესებულება გეგმავს სასწავლო მოდულების ჩამოყალიბებას, რისთვისაც ამჟამად ხდება სილაბუსების შემუშავება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარმოედგინათ მათი პოზიცია, თუმცა მათ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:00
დასრულების დრო: 19: 05

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საგანმანათლებლო დაწესენულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) პროგრამის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია მასში ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში, როგორც მაღალი ტემპით განვითარებად დარგში, ახლად წარმოქმნილი პროფესიული საჭიროებებისა და საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება და ასახვა, რასაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის დამატებითი კვლევა და მიღებული ახალი მონაცემების ანალიზი;
ბ) სასურველია განისაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ქართული ენის კომპეტენციის დონე, აუცილებელი სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის;
გ) პრაქტიკის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულებებში კლინიკურ გარემოში პრაქტიკის განხორციელების შესახებ, რაც რეალურად დაადასტურა ინტერვიუებმა, პრაქტიკის კომპონენტის კიდევ დამატებით გაძლიერების მიზნით, გაძლიერდეს მაგისტრებთან უკუკავშირი;
დ) საქართველოში პრაქტიკის ბაზებზე მაგისტრებისათვის გამოცდილების მიღების მაქსიმალური ხელშეწყობა;
ე) დისტანციური სწავლების კომპონენტის გათვალისწინება და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა;
ვ) სასურველია სტუდენტის შუალედური შეფასების დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გაზრდა სწავლის შედეგებისა და ხარისხის მისაღწევად;
ზ) სასურველი იქნებოდა მაგისტრებისათვის პოტენციურ დამსაქმებლებთან ხშირი შეხვედრების ორგანიზება დამსაქმებელთა მოთხოვნების გასაცნობად, აღნიშნული ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან მომზადებას კონკურენტუნარიანი გარემოსათვის;

თ) სასურველია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დარგში გამოცდილების მქონე შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების დამატებით მოწვევა, აღნიშნული ხელს შეუწყობს მაგისტრებისათვის ხელმძღვანელების ფართო არჩევანის შესაძლებლობას;
ი) სასურველი იქნება მომავალში შრომის ბაზრის მოთხოვნების დამატებითი კვლევა და მიღებული მონაცემების ანალიზი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "რეაბილიტაციაში მრჩეველი" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭებისა და 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტისა 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის " რეაბილიტაციაში მრჩეველი" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშიც წარმოდგენის პირობით.

4. მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრარული მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	04.05.2018, N59
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი	01
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180[1]
15	განხორციელების ადგილი	-
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ü არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
ü არა
მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „აგრარული მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამას აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 4 მაისის N59 გადაწყვეტილებით მიენიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია.გადაწყვეტილების მომენტში, აკრედიტაციის საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, განხორციელებულიყო მასზე მონიტორინგი და გადამოწმებულიყო აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. ა(ა)იპ-საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2020 წლის 25 ივნისს მონიტორინგისთვის წარმოადგინა შესაბამისი მასალები. (სადოქტორო პროგრამა“ აგრარული მეცნიერებები“; კურუკულუმი; სემესტრული გეგმა;სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება; ადამიანური რესურსების ნუსხა CV-ებით; სილაბუსები; შიდა და გარე ხარისხის შეფასების მექანიზმები; ინფორმაცია სადოქტორო პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებზე). ცენტრის მოთხოვნის საფუძველზე დამატებით წარმოდგენილი იქნა აფილირების წესი და აფილირებული თანამშრომლების ნუსხა. სადოქტორო პროგრამის „აგრარული მეცნიერებები“ მიზანია აგრარულ მეცნიერებებში (აგრონომია, ვეტერინარია, მეცხოველეობა, სასურსათო ტექნოლოგია და სატყეო საქმე) მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და ამით ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის შექმნასა და მის დანერგვას. მონიტორინგისთვის წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა „აგრარული მეცნიერებები“ შესაბამისობაში იქნება მოსაყვანი ახალ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის ბრძანებით 2024 წელს და ის ფაქტიურად დასაშლელი გახდება რამდენიმე პროგრამად სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციების კუთხით.
„აგრარული მეცნიერებები“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე.

მონიტორინგის შემოწმების საფუძველია აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობის მიერ გადაწყვეტილება მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. მონიტორინგი განხორციელდა ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. ექსპერტთა ჯგუფმა, შეისწავლა ა(ა)იპ- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა„აგრარული მეცნიერებები“თან დაკავშირებული მასალები და შეაფასა სადოქტორო პროგრამის და რიგი სილაბუსების შესაბამისობის საკითხი იმ რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრა აკრედიტაციის საბჭომ. ამრიგად, მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ ძირითადად განხორციელდა პირველი და მეორე სტანდარტის შეფასება,მაგრამ ასევე შემოწმებული იქნა პროგრამის შესაბამისობა მეოთხე სტანდარტის 4.1. კომპონენტთან და მეხუთე სტანდარტის 5.1.და 5.2. კომპონენტთან.

ექსპერტმა ისაუბრა შესასრულებელ რეკომენდაციებზე, კერძოდ:
1. მკაფიოდ გაიწეროს პროგრამაზე მიღების წინაპირობები;
2. სასწავლო კურსის - ,,კვლევის მეთოდები“ სათაური და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში;
3. კურის ,,სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში“ მოდიფიცირდეს ისე, რომ არჩევითი ლიტერატურა გადავიდეს სავალდებულოში, სავალდებულო ლიტერატურა- არჩევითში.
4. დისერტაციის შეფასება მოხდეს ერთჯერადად.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგისთვის გამოგზავნილ მასალებში წარმოდგენილია აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დებულება, რომელშიც შესულია ცვლილება და რომლის საფუძველზეც ხდება სადოქტორო პროგრამაზე „აგრარული მეცნიერებები“ დაშვება. კონკრეტულად, დებულების 4.1. მუხლში გაწერილია პროგრამაზე სწავლის და ჩარიცხვის პირობები. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლის მერვე პუნქტში დამატებულია ჩანაწერი: „ჩარიცხვის მსურველი პირი გაივლის გასაუბრებას გამოცდის სახით სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ მიმართულების კომისიასთან“ და მეცხრე პუნქტში აღწერილია თუ რა კრიტერიუმებით აფასებს კომისია აპლიკანტს -ბუნდოვნად რჩება, რას გულისხმობს და პროცედურულად როგორ ტარდება „გასაუბრება გამოცდის სახით“. რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.
რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებს, დაწესებულებას სრულად შეასრულა ისინი, კერძოდ, სასწავლო კურსის “კვლევის მეთოდები“ სათაური შეცვლილია და მას ჰქვია „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“, რის შედეგადაც კურსის დასახელება შესაბამისობაშია მის შინაარსთან,, თუმცა სასურველია თვისობრივ კვლევის მეთოდებზე ტელეგრამულად მაინც იყოს საუბარი კურსის შინაარსში. სასწავლო კურსი „სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში“ მოდიფიცირებულია ისე, რომ არჩევითი ლიტერატურა გადასულია სავალდებულოში,ხოლო სავალდებულო ლიტერატურა -არჩევითში. დისერტაციის შეფასება კი ხდება ერთჯერადად.

მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, ექსპერტმა ისაუბრე განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ:

1. პროგრამაზე მიღება ხდება ინგლისურის B1 დონით. დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სადოქოტორო პროგრამის „აგრარული მეცნიერებები“ სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურა და წყაროები მითითებული აქვთ ინგლისურ ენაზე,სადოქტორო პროგრამის განხორციელება ნაწილობრივ ხდება საერთაშორისო პროექტების მხარდაჭერით და თანამედროვე აგრარულ ტექნოლოგიებზე სამეცნიერო ინფორმაცია ძირითადად ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ დოქტორანტთა ენობრივი კომპეტენცი იყოს მაღალი. შესაბამისად სადოქტორო პროგრამაზე კონტიგენტის მიღება უნდა ხდებოდეს B2 დონით;

2. სადოქტორო სკოლის დებულებაში პროგრამის დაშვების პირობის სამართლიანობის უზრუნველსაყოფად და ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით,უნდადაზუსტდეს რას გულისხმობს და პროცედურულად როგორ ტარდება „გასაუბრება გამოცდის სახით“;
3. მიზანშეწონილია ზოგიერთი დარგობრივი მიმართულების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელებად დაემატოს დარგობრივი სფეროს მაღალი სამეცნიერო და აკადემიური მონაცემების პირი. ასისტენტ პროფესორი არ არის მიზნშეწონილი იყოს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო სკოლის დებულებაში გაწერილია, რომ მეცნიერ ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის კვალიფიკაციის მქონე პირი;
4. პროგრამა 180 კრედიტიანია,რომელშიც 40 კრედიტი გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტად, ხოლო სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის ათვისება გაწერილია კრედიტებში. მითითებული, ეწინააღმდეგება არსებულ რეგულაციას. წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის შესაბამის ბრძანებასთან სადოქტორო პროგრამის კრედიტების განაწილების წესის შესახებ;
5. მონიტორინგისთვის წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა „აგრარული მეცნიერებები“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლისთვის) ფაქტიურად უნდა დაიშალოს რამდენიმე პროგრამად სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციების მიხედვით. ახალ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
6. შემდგომში გასამზადებელი იქნება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა; პროგრამას უნდა ჰქონდეს სამიზნე ნიშნულები.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამას არ ჰყავ კონკრეტული ხელმძღვანელი პირი, რომელიც ძირითად საკითხებს გაუწევს კორდინირებას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე პროგრამის განხორციელება სრულიად შესაძლებელია. თუ პროგრამის დაშლა საჭირო და აუცილებელი გახდება დაწესებულება ამ ცვლილებას აუცილებლად განახორციელებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის მენეჯმენტი თავად უნივერსიტეტის კომპეტენციაა. დაწესებულებას მიაცნია, რომ პროგრამა ადეკვატურად იმართება.
პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით მინისტრის ბრძანების არასწორი ინტერპრეტაცია ხდება. ბრძანების მიზანი იყო დაედგინა სასწავლო კომპონენტების ზღვარი(ჭერი) სადოქტორო პროგრამებში. შესაბამისად ბრძანების მიხედვით სასწავლო კომპონენტისთვის კრედიტების მინიჭება არ არის შეზღუდული. რათა სადოქტორო პროგრამა არ გადაიქცეს სასწავლო პროგრამად 60 კრედიტზე მეტის დაშვება არ არის მიღებული, აქედან გამომდინარე დაწესებულებაში სასწავლო კომპონენტისთვის გათვალისწინებულია 40 კრედიტი.
რაც შეეხება უცხო ენის ბარიერისა და კომპეტენციის საკითხ, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ, ინსტიტუციას მიზანშეწონილად არ მიაჩნია სადოქტორო პროგრამაზე მისაღებად ინგლისური ენის დონის ბარიერის განსაზღვრა. დარგის სპეციალისტების რაოდენობა ქვეყანაში არც თუ ისე ბევრია, შესაბამისად განათლებული კადრისთვის ენოვანი ბარიერის გამო უარის თქმა დაწესებულებისთვის მიუღებელია. ბარიერის დაწესების მაგივრად უმჯობესია ცალკეული პროგრამის გაწერა.

პროგრამის კორდინატორმა განმარტა, რომ პროგრამის განხორციელებაში რამდენიმე პირია ჩართული და ყველა ქვემიმართულების ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილოების პროგრამის განვითარებაში, შესაბამისად მითითება იმაზე, რომ პროგრამას ხელმძღვანელი არ ჰყავს არ არის მართებული.

რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელებს, დაწესებულების მიზანია, პრიორიტეტი მიანიჭოს ინტერდისციპლინარულ თემებს, აქედან გამომდინარე, თითოეულ დოქტორანტი ცალკე ახორციელებდა კვლევას და მას ენიშნებოდა ორი ხელმძღვანელი, 27 დოქტორანტიდან, 19 არის საგრანტო პროექტის მფლობელი, მათგან ხუთი დოქტორანტი არის მსოფლიოში წამყვანი სამეცნიერო ხელმძღვანელი. ამჟამად, ერთი დოქტორანტი დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების ფონდის მიერ, 5 რუსთაველის ფონდის მიერ, ხოლო 8 ფოლქსვაგენის და რუსთაველის ფონდის მიერ.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში შეფასება აისახა ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობით.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დააზუსტა დისერტაციების საკითხი და დაინტერესდა ხდება თუ არა დისერტაციის კომპონენტების კრედიტების მიხედვით დაყოფა და ასევე დააზუსტა თ 40 კრედიტის გარდა რას შეიცავს პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 40 კრედიტი გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტისთვის. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად. პირობითად, კრედიტების მინიჭება ხდება დროში გაწერილის სადისერტაციო გეგმისა და ანგარიშიც მიხედვით. სადისერტაციო კომისიის მიერ ხდება ნაშრომების შეფასება, ხოლო საბჭოს შემდგომ ანიჭებს სადოქტორო ხარისხს. ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ხდება შუალედური შეფასება დოქტორანტისა და მისი ხელმძღვანელის მიერ , რათა დადგინდეს 140 კრედიტის ფარგლებში დოქტორანტი რა ეტაპზეა და ახორციელებს თუ არა პროგრესს.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ პრაქტიკაში დისერტაციის შეფასება ხდება ერთჯერადად, შესაბამისად მინისტრის ბრძანების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილთან აღნიშნული კომპონენტი შინაარსობრივად წინააღმდეგობაში არ მოდის. თუმცა, მინისტრის ბრძანების მიხედვით, კვლევას ფორმალურად აღარ ენიჭება კრედიტები და ასევე მიმდინარეობის დროსაც არ ხდება კრედიტების დიფერენციაცია. რეალურად, პროგრამა სრულიად შესაბამისობაშია დღეს მოქმედ კანონმდებლობასთან, შესაბამისა, ფორმალურად კრედიტების შესახებ არსებული ინფორმაცია ამოღებული რომ იქნას სასწავლო სილაბუსებიდან, პროგრამის შინაარსი, ისევე როგროც მისი მიზენი და ფორმალური მხარე, სრულ შესაბამისობაში იქნება კანონმდებლობასთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20: 25
დასრულების დრო: 21: 05

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ **არ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, თუმცა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ გაეცა შემდეგი რეკომენდაციები:**

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის გ) ქვეპუნქტის თანახმად „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა

არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამა მოსაყვანია შესაბამისობაში კანონმდებლობასთან.

- პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრარული მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის საბჭომ აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყვიტა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრარული მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	#253 18.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	კვალიფიკაციის კოდი	0232
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქ.ქუთაისი, თამარ მეფის 59, სასწავლო კორპუსი 3
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ისაუბრა შესასრულებელ რეკომენდაციებზე, კერძოდ:
1. მიზანშეწონილია, რომ ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენების ტესტი იდენტიფიცირებული იყოს როგორც სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, ე.წ. მეორე ენის ტესტის ჩატარების შემთხვევაში, მიზანშეწონილია რუსული, თურქული, სპარსული და სხვა ენების, როგორც მეორე უცხო ენის განხილვა;
2. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებისთვის ერთ-ერთი წინაპირობაა მისი კვლევითი ინტერესების შესაბამისი მიმოხილვის ან კვლევითი სტატიის პრეზენტაცია. მიზანშეწონილია, რომ წინასწარ იყოს მითითებული მიმოხილვის ან კვლევის სტატიის სიტყვების რაოდენობა და სხვა მახასიათებლები, აგრეთვე, სტატიის შეფასების ინსტრუქცია და დიზაინი;
3. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწოფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებობს სხვა სადოქტორო პროგრამა ფილოლოგიაში, კერძოდ, ევროპულ ლიტერატურაში, სადაც გაერთიანებულია ინგლისური, ფრანგული და გერმანული ლიტერატურა, ხოლო გერმანული ენათმეცნიერება არის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის (ამ კონკრეტული პროგრამის) ნაწილი. მსგავისი პროფილების მქონე პროგრამები უნდა გაერთიანდეს; ეს არის ზემოხსენებული პროგრამა, რომლიც მოიცავს როგორც დასავლურ ევროპულ, ისე აღმოსავლური მიმართულების ენათმეცნიერების და ლიტერატურის სწავლების სფეროებს, ასევე, ქართველოლოგიას;
4. თანამედროვე აკადემიური ნორმების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ აკადემიური წერა ან კვლევის უნარების განვითარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა კურსი (მაგალითად, ციტირების სტილები, პლაგიარიზმი, ეთიკა კვლევაში და ა.შ.) აისახოს წინამდებარე კურიკულუმში;
5. ზოგიერთი სავალდებულო ან/და არჩევითი კურსის სილაბუსს აკლია თანამედროვე სპეციალიზებული ლიტერატურა, ლინგვისტიკასა და ლიტერატურაში თანამედროვე კვლევები. მიზანშეწონილია, რომ ეს სილაბუსები მოიცავდეს მითითებებს თანამედროვე კვლევებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2011 წლიდან უნივერსიტეტი მონაწილეობს

ბიბლიოთეკების ინტეგრირებულ ონლაინ სისტემაში, ხოლო ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, თუმცა, ეს შესაძლებლობა არ გამოუყენებია ერთ კვლევით დარგსაც;

6. ზოგიერთ სილაბუსში არსებობს ტექნიკური ხარვეზები: ზოგი მითითება სწორად არაა დასახელებული, ან შეცდომებია კურსის თემების ჩამონათვალში. მიზანშეწონილია ამ შეცდომების გასწორება;

7. კურსების ნაწილი მოითხოვს დამატებით წინაპირობებს და ენობრივ კომპეტენციებს გერმანულ, სპარსულ, თურქულ და სხვა ენებში, თუმცა ეს წინაპიროებები სილაბუსებში არ არის ნახსენები. მიზანშეწონილია ამ წინაპიროებების განსაზღვრა სილაბუსში;

8. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამისთვის შემოთავაზებული ჟურნალებისა და გამომცემელთა შესახებ სია საფუძვლიანად უნდაშეიცვალოს და შეიცავდეს თანამედროვე რეფერირებად პუბლიკაციებს, მათ შორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალიც, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზაშია;

9. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდირებულია დოქტორანტებმა გამოაქყვეყნონ თავიანთი კვლევის შედეგები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში;

10. რეკომენდირებულია, რომ მკაფიოდ გაცხადდეს, თუ ვის აქვს პროგრამაზე დაშვების უფლება: მსურველი უნდა ფლობდეს მაგისტრის დიპლომს;

11. კვლევის პოპულარიზაციის და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სამიდან ერთი კვლევითი ნაშრომი მაინც საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში ჩართულ უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში (EBSCO, SCOPUS, Web of SCIENCE, ERIH PLUS).

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციების დიდი უმრავლესობა გაიზიარა და შესაბამისად განახორციელა აუცილებელი ცვლილებები, რაც აისახა მათ ანგარიშში.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშრებით ექპსერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, პროგრამაზე მიღების წინაპირობაა უცხო ენის გამოცდის ჩაბარება. დოქტორანტს მოეთხოვება B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ინგლისურ, გერმანულ, ან ფრანგულ ენაზე. ასევე, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, ჩააბაროს გამოცდა რუსულ ენაში. ამასთან, თუ დოქტორანტი ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, თურქულ, არაბულ ან სპარსულ ენას ირჩევს ემპირიულ ბაზად, შეუძლია ჩააბაროს გამოცდა არჩეულ ენაზე C1 დონეზე.

მე-2 რეკომენდაციასთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მისი შესრულება მოხდა ნაწილობრივ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს ერთვის რეფერატის შეფასებისა და გაფორმების კრიტერიუმები, სადაც აღნიშნულია რეფერატის მახასიათებლები, მათ შორის, შინაარსი, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, გამოყენებული ლიტერატურა/თვალსაჩინოება, რეფერატის სტრუქტურა და მისი შესაბამისობა კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან, რეფრატის შედეგები და საბოლოო დასკვნების რელევანტურობა. ასევე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს რეფერატის გაფორმების კრიტერიუმები, რომელიც გზამკვლევის სახით ერთვის დოკუმენტაციას. რეფერატის გაფორმების კრიტერიუმებში საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული წყაროების სახეობებსა და დამოწმების საკითხზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. სანიმუშოდ აღებულია ჩიკაგოს აკადემიური სტილით დამოწმება და დეტალურად ახსნილია დამოწმებისა და ციტირების საკითხები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეფერატის შეფასების კრიტერიუმებს არ ახლავს სათანადო შეფასებები: დადებითი, უარყოფითი, კარგი, ძალიან კარგი და სხვ. რეკომენდაციაში აღნიშნული იყო რეფერატის მახასიათებლების განსაზღვრა: „მიზანშეწონილია, რომ წინასწარ იყოს მითითებული მიმოხილვის ან კვლევის სტატიაში გამოყენებული სიტყვების რაოდენობა და სხვა მახასიათებლები, აგრეთვე სტატიის შეფასების ინსტრუქცია და დიზაინი“. აღნიშნული საკითხები მხოლოდ ნაწილობრივ არის გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

მიზანშეწონილია რეფერატის შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება. ასევე, რეფერატის მოცულობის - სიტყვების სავარაუდო რაოდენობის განსაზღვრა.
ექსპერტმა განმარტა, რომ დასკვანშ მოცემული მე-ე რეკომენდაცია არ იქნა შესრულებული, კერძოდ, დაწესებულების ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი: „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება 2012 წელს აკრედიტებული (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №97) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა“, რომელსაც აკრედიტაციის ვადა ეწურება 2021 წლის 1 ივლისს. აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა საკმაოდ მოცულობითია სადოქტორო პროგრამაზე „ფილოლოგია“ მუშაობის დროს არ ჩაითვალა მიზანშეწონილად მისი ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამასთან გაერთიანება“. ორივე პროგრამა ანიჭებს ერთსა და იმავე კვალიფიკაციას - ფილოლოგიის დოქტორი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თვისობრივად მსგავსი და მომიჯნავე დარგების პროგრამების გაერთიანება.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მე-4 რეკომენდაცია გაზიარებული იქნა ინსტიტუციის მიერ, კერძოდ, სასწავლო პრგრამას დაემატა სასწავლო კურსი „სამეცნიერო მუშაობის სტრატეგიები“, რომლის მიზანია დოქტორანტებს გააცნოს სამეცნიერო მუშაობის სტრატეგიები, აკადემიური ნაშრომის თავისებურება, აგებულება, კომპონენტები, სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ტექსტის სპეციფიკა და სტრუქტურა, ანალიტიკური ნაშრომის მახასიათებლები, წყაროების მოძიებისა და დამუშავების, კრიტიკული კითხვის ტექნოლოგიები, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები, პლაგიატის სახეები და მისი თავიდან აცილების გზები, სწორი ციტირების ტექნიკები, მოძიებული ლიტერატურისა და სხვა მასალის დამოწმების აღიარებული საერთაშორისო წესები; გაუღრმავოს აკადემიური კვლევისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, არგუმენტირების, კრიტიკული აზროვნების, შეფასების, საკუთარი დამოკიდებულების, ასევე, ორიგინალური მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და დასაბუთების, აკადემიურ სივრცეში ინტეგრირების, სამეცნიერო ნაშრომის ზეპირად წარდგენის უნარი. კურისი მიზანია დოქტორანტებმა შეძლონ სამეცნიერო კომპონენტების თვალსაზრისით გამართული სადისერტაციო ნაშრომის დაწერა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სამეცნიერო სტატიის გაფორმება და პუბლიკაცია, ასევე, სამეცნიერო ნაშრომის საჯარო პრეზენტაცია და სამეცნიერო დისკუსიაში სრულფასოვნად ჩართვა. სასწავლო კურსში სათანადოდ არის ასახული სამეცნიერო ეთიკისა და კეთილსინდისიერების, პლაგიატის, ციტირების საკითხები და სხვ.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსებში დამატებულია თანამედროვე ლიტერატურა, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სილაბუსების ნაწილში გვხვდება ერთი და იგივე სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურა, რაც მომიჯნავე საკითხების სწავლებით არის განპირობებული. მიზანშეწონილია სილაბუსები კიდევ ერთხელ გადაიხედოს როგორც სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის, ისე სალექციო კურსების თემატიკის მიხედვითაც.
მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულება განმარტა, რომ ტექნიკური ხარვეზები სილაბუებში გასწორებულია.
მნიშვნელოვანია ასევე მე-7, რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულების მიერ ნაწილობრივ იქნა შესრულებული, კერძოდ, აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულება განმარტავს, რომ ეს რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსებს „თანამედროვე ლინგვისტური თეორიები 1 და 2”, რომელიც შესრულებული იყო გერმანულ ენაზე. ექსპერტთა რეკომენდაცია იყო, წინაპირობად განსაზღვრულიყო გერმანული ენის ცოდნა, თუმცა ავტორმა წარმოადგინა იმავე საგნის ქართულ ენაზე შესრულებული სილაბუსები და წინაპირობის შეცვლა აღარ გახდა საჭირო. ასევე, მიღების წინაპირობაში განისაზღვრა უცხო ენების ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა იმ შემთხვევისთვის, თუ დოქტორანტობის კანდიდატი სამეცნიერო კვლევის ბაზად ირჩევს რომელიმე უცხო ენას. რეკომენდაცია შესაძლებელია ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ზოგიერთ საგანში ძირითად და დამხმარე ლიტერატურაში მითითებულია რუსულენოვანი სახელმძღვანელოები. როგორც აღინიშნა, რუსული ენა არ არის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობის ენა, თუმცა დაწესებულება უფლებას აძლევს დოქტორანტებს ჩააბარონ რუსული ენა, როგორც უცხო ენა, „იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, შეუძლია გამოცდის ჩაბარება რუსულ ენაში". საგნების უმრავლესობა, სადაც რუსულენოვანი სახელმძღვანელოებია მითითებული, იკითხება ქართული ფილოლოგიის, ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის მიმართულების დოქტორანტებისათვის. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ერთიანი ხედვა ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მითითებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების ანგარიშში აღნიშნულია: „სადოქტორო პროგრამისთვის დამტკიცებული სამეცნიერო ჟურნალებისა და გამომცემელთა სია კიდევ ერთხელ გადაიხედა, დაემატა რამდენიმე თანამედროვე გამოცემა, გამოაკლდა ზოგი ნაკლებად აღიარებული, ძირითადად, რუსულენოვანი გამოცემები. რაც შეეხება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველწლიურ სამეცნიერო ჟურნალს, სიაში მოიაზრებოდა საუნივერსიტეტო გამოცემების ეგიდით, თუმცა, ექსპერტების შენიშვნის შემდეგ, ცალკე იქნა გამოტანილი". დაწესებულებას ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი აქვს „სადოქტორო პროგრამისთვის დამტკიცებული სამეცნიერო ჟურნალებისა და გამომცემელთა სია", რომელშიც წარმოდგენილია საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტისა და კვლევითი ცენტრების გამოცემათა ნაწილი, ასევე, დასახელებულია მაღალრეიტინგული სამეცნიერო ბაზები, EBSCO, Clarivate Analytics, Scopus. სიაში ზოგიერთი ქართული გამოცემის მითითებისას დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები. მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ გადაიხედოს სადოქტორო პროგრამისათვის დამტკიცებული სამეცნიერო ჟურნალებისა და გამომცემლობათა სია ტექნიკური და სხვა სახის ხარვეზების გამოსასწორებლად.

მე-9 რეკომენდაციასთან მიმართებით, ანგარიშში მოცემულია, რომ „ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შევიდა ცვლილებები: დოქტორანტებმა თავიანთი კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში". აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში მუხლი 18. 4. აღნიშნულია: „დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ერთი გამოქვეყნებული უნდა იყოს ან საერთაშორისო რეფერირებად (Peer-reviewed) ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN ან ISBN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის, ან ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, Ebsco-ს, ან Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. სხვა პუბლიკაციები შეიძლება იყოს სტატიები ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთ-ერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად. გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ორმა მაინც უნდა გაიაროს საერთაშორისო რეცენზირება". ციტირებული რეულაცია შეესაბამება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ინტერნაციონალიზაციას. რჩევა31 II შეფასება დაწესებულების განმარტება, რომ სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაციის შესახებ უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო

დამატებითი დადგენილება, რომ დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს ნაშრომი საერთაშორისო რეცენზირებად გამოცემაში, ამ რეკომენდაციისათვის შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემულია კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხება დოქტორანტის კვლევის ინტერნაციონალიზაციას.
მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია შესრულებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობებში ასახულია, რომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციოლოგიის, ან განათლების მეცნიერებათა მაგისტრის დიპლომის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების ანგარიშში მითითებულია: „აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შევიდა ცვლილებები: კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სამი კვლევითი ნაშრომიდან მინიმუმ ერთი მაინც საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, ან თეზისები - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, ან საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS)“. აღნიშნული რეკომენდაცია უნდა შეფასდეს შესრულებულად, რადგან დაწესებულებამ გაითვალისწინა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შევიდა ცვლილება და რეკომენდაცია სრულად აისახა სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სრულიად მართებული იყო რეკომენდაცია აკადემიურ წერასთან დაკავშირებით. ამასთან, გათვალისწინებული იქნა, რომ ზუსტად ასეთი დასახელების საუნივერსიტეტო საგანი იკითხება საბაკალავრო პროგრამების პირველ კურსზე, ამიტომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმაში დაემატა საგანი ,,სამეცნიერო მუშაობის სტრატეგიები“.
გადაიხედა სილაბუსები, სადაც საჭირო იყო, დაემატა ახალი ლიტერატურა, მიეთითა ელექტრონული სამეცნიერო ბაზები, რომლებიც შეიძინა უნივერსიტეტმა და ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტიდან, ისე სახლიდან; ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე, კიდევ ერთხელ გადაიხედა და გასწორდა ზოგიერთ სილაბუსში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზები; წინაპირობასთან დაკავშირებით რეკომენდაცია ეხებოდა საგნებს - თანამედროვე ლინგვისტური თეორიები 1,2. ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, არაბული ან სპარსული ენების ცოდნის დადასტურება C1 დონეზე (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი, ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატი), თუ დოქტორანტობის კანდიდატი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს რომელიმე ზემოთჩამოთვლილ ენას. სადოქტორო პროგრამისთვის დამტკიცებული სამეცნიერო ჟურნალებისა და გამომცემელთა სია კიდევ ერთხელ გადაიხედა, დაემატა რამდენიმე თანამედროვე გამოცემა, გამოაკლდა ზოგიერთი მათგანი. რაც შეეხება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველწლიურ სამეცნიერო ჟურნალ მოამბეს, სადოქტორო პროგრამისთვის დამტკიცებული სამეცნიერო ჟურნალებისა და გამომცემელთა სიაში მოიაზრებოდა საუნივერსიტეტო გამოცემების ეგიდით. ექსპერტების შენიშვნის შემდეგ, ცალკე იქნა გამოტანილი. ინტერნაციონალიზაციის კიდევ უფრო ხელშეწყობის მიზნით, სამუშაო ჯგუფმა ფაკულტეტის საბჭოზე წარადგინა საკითხი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც მოგვიანებით დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შევიდა ცვლილებები: დოქტორანტებმა თავიანთი კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში.

რეკომენდაციის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა მიღების წინაპირობაში დააზუსტა, რომ დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციოლოგიის, ან განათლების მეცნიერებათა მაგისტრის დიპლომის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
რეკომენდაციის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის ინიციატივით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ განიხილა და აკადემიურ საბჭოზე წარადგინა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესულიყო ცვლილება და კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტებს გამოექვეყნებინათ სამი კვლევითი ნაშრომიდან მინიმუმ ერთი მაინც საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, ან თეზისები - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, ან საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS). ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში, სრული ჩანაწერი, რა მოეთხოვება დისერტანტს დაცვამდე, შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ერთი გამოქვეყნებული უნდა იყოს ან საერთაშორისო რეფერირებად (Peer-reviewed) ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN ან ISBN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის, ან ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, Ebsco-ს, ან Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. სხვა პუბლიკაციები შეიძლება იყოს სტატიები ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთ-ერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად. გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ორმა მაინც უნდა გაიაროს საერთაშორისო რეცენზირება.
რაც შეეხება რჩევებს კონფერენციებთან დაკავშირებით, დაწესებულება მუდმივად ცდილობს ამ კუთხით აქტივობების დაორგანიზებას. ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა არა ერთხელ ჩაატრა საერთაშრისო კონფერენცია.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სილაბუსები საჭიროებს განახლებას და განმარტა, რომ ძველ ლიტერატურასთან ერთად ერთ-ერთ სილაბუსში ელექტონულ წყაროდ მითითებულია ,,ვიკიპედია“, შესაბამისად მან საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენად შეესაბამება აღნიშნული მასალა სადოქტორო სწავლების საფეხურს.
ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მოძველებული ლიტერატურის საკითხი. საყურადღებოა, რომ ენების სახელმძღვანელოები არ ძველდება, მაგრამ მუდმივად იცვლება სწავლების მეთოდიკა, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია. გარდა ამისა, სილაბუსებში იყო მრავალი ტექნიკური ხარვეზი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 21:35

დასრულების დრო:21: 47

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად არ მიღებისა და საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2 პუნქტის, 2^{11} პუნქტის, 3^{1} მუხლის საფუძველზე, საბჭომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში არ მიიღო ცნობად და მიმართა ცენტრს შუამდგომლობით საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

- [1] დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის გ) ქვეპუნქტის თანახმად „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამა მოსაყვანია შესაბამისობაში კანონმდებლობასთან.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა